ცნობის ფურცელი

№ 2298 ორშაბათი 20 ოქტომბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2298

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ორშაბათს 20 ოქტომბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

ევგენი ონეგინი

ოპერა 3 მოქმედებად, და 7 სურ. მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი რენე-რადინა, ჩიჟოვა, კალინინა, როდიონოვა; ბ-ნნი: რაისკი, სელიავინი, ევლახოვი, რჟანოვი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 21 ოქტ. „ქიზნ ზა ცარია“. 22 ოქტ. „პიკოვიია დამა“. (5.)

ავლაბრის ახალი თეატრი

სამშაბათს, 21 ოქტომბერს, 1903 წელს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

ხანუმა

კომედია 4 მოქმ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გამყრელიძისა, ნ. დავითაშვილი, ნ ყიფიანისა, ელ. ჩერქეზიშვილისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: დ. აწყურელი, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ლ. მირიანაშვილი, საფაროვი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათ. რეჟისორი **აწყურელი**

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი. კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12 1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12 1 ს.

ბრ. მ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, ჰიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (10—6.—3)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე, საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

„ცნ. ფურ.“-ს რედაქციისაგან

ვისაც უკანასკნელი ხვედრი ფული არ შემოუტანია, ვთხოვთ დააჩქაროს შემოტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში 1 ნოემბრიდან ჟურნალი და გაზეთი აღარ გაეგზავნება.

მთავრობის განკარგულება*)

12 ივნისის 1903 წლის თარიღით უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა კომიტეტის აზრისამებრ და მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრთან შეთანხმებით ვამტკიცებ. ს-პეტერბურგი, 30 ივნისს 1903 წელს.

შინაგან საქმეთა მინისტრი

სტატს-სეკრეტარი (ხელს აწერს)

პლევე.

წესი

სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ქონებისა და თანხათა სათანადო სამინისტროთა გამგებლობაში გარდაცემისა.

1) სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის იმ ქონების შესახები ცნობანი, რომელიც 12 ივნისის 1903 წლის თარიღით უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა კომიტეტის აზრისამებრ, უნდა ჩამოერთვას, სასულიერო დაწესებულებათა განმგებლობას, უნდა აუწყოს: ევროპიის რუსეთში—შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს და, იმის და მიხედვით, საცა ეგ ქონებანი იმყოფება,—იქაურ გუბერნატორებსა და ქალაქის უფროსთა, ხოლო კავკასიის ეპარქიებში—მთავარ-მართებლის მმართველობიდან მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ნდობა—მოსილს კავკასიაში და იქაურ გუბერნატორებსა და ოლქების უფროსთა. მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ და ამ სამინისტროს ნდობა-მოსილმა კავკასიაში უნდა აუწყონ მათ მიერ მიღებულნი ცნობანი თვისთა ხელ-ქვეით საგუბერნიო მმართველობათა.

2) მიღებისამებრ ადგილობრივ, უწყებათა სახით, ზემოხსენებულ ცნობათა, რომელნიც ამოკრებილ იქმნება ეჩმიაძინის სინოდის უკანასკნელ ანგარიშებიდან, გუბერნატორებმა და სახელმწიფო ქონებათა გამგებლებმა, ერთმანერთ შორის მორიგებით, უნდა განკარგულება მოახდინონ და ერთსა და იმავე დროს გაჰგზავნონ თვისნი ხელ-ქვეითნი თანამდებობის სარწმუნო კაცნი, რომ ერთად ჩაიბარონ სომეხ-გრიგორიანთა სასულიერო დაწესებულებათაგან საეკლესიო ქონება და თანხა. ზემოხსენებულთ კაცთ უნდა მიეცეთ ჯეროვანი დარიგება, ფორმალური ბძანება და ნიმუში ჩაბარების ოქმებისა და ნუსხისა.

3) თითოეულს ქალაქსა და მაზრაში ჩაბარება უძრავის ქონებისა და თანხისა უნდა დაწყებულ იქმნას უფრო იმ მამულიდან, რომელიც შესამჩნევია თვისის სიდიდითა.

4) ზემო-ხსენებულნი მოხელენი, მივლენ თუ არა ადგილობრივ, იწვევენ მათდა მინდობილ საქმეში დასახმარებლად იქაურ პოლიციის წარმომადგენელს, იქაურსავე სომეხ-გრიგორიანთა კეთილ-მოწესე მღდელს თუ არის იქ, აგრეთვე იმ სასულიერო კაცს ან იმ სასულიერო დაწესებულების წარმომადგენელს, ვის გამგებლობაშიაც არის მისაღები ქონება; ამას გარდა, იწვევენ ქალაქ ადგილას—ქალაქის თვით-მართველობის წარმომადგენელს, ხოლო სოფლად—ორს კეთილს-სვინდისიერს მცხოვრებელს, არა ამაზედ ნაკლებ, და მამასახლისს. ქონების ჩაბარების დროს უნდა დაესწროს ქტიტორი ანუ მნათე, რომლის პირდაპირს გამგებლობაშიაც არის მთლად საეკლესიო ქონება (მუხ, 1225 უცხ. აღსაარ. სასულ. საქმეთა წესდებისა გამოც. 1896 წ).

5) შეუდგებიან თუ არა ჩასაბარებელ ქონების დათვალიერებას ისინი, ვისაც ეს საქმე აქვთ დავალებული უპირველეს ყოვლისა მოითხოვენ, რომ ქტიტორმა, მონასტრის წინამძღვარმა ან ამა თუ იმ სასულიერო დაწესებულების უფროსმა წარუდგინოს საინვენტარო ნუსხა მთლად საეკლესიო თუ სამონასტრო, აგრეთვე სასემინარიო და სხვა ქონებისა უცხო აღსაარების სასულიერო საქმეთა წესდების 1226 მუხლით დაწესებულ ზონარ-გაყრილი დავთრები, აგრეთვე გეგმანი, კონტრაქტები, ნამდვილი გუჯარ-სიგელნი მფლობელობისა, ვალდებულობის ქაღალდები, შესანახად დაბინავებულ ფულის კვიტანციები, ანუ წიგნები შემნახველის კასებისა, არეთვე სხვა ოქმები, რომელიც-კი შეეხება ეკკლესიის გამგებლობაში მყოფ მამულებსა, ვალდებულების წერილებსა და თანხებსა.

შენიშვნა: რადგან სომეხ-გრიგორიანთა მონასტრების უმეტეს ნაწილს არა ჰყავს მონაზონთა ძმანი და კანონით დაწესებული (მუხ. 1235 უცხ. აღსაარ. სასულიერო საქმეთა წესდებისა) სამონასტრო გამგეობანი, ამიტომ, ასეთ გარემოებაში, ქონების მისაღებად ადგილას წასვლამდე უნდა მოითხოვონ საბუთები და ნუსხანი საეპარქიო კონსისტორიებისაგან, საცა ინახება, კანონისამებრ, ასეთნი ცნობანი.

6) ასეთ ნუსხათა და საბუთების შემოწმების შემდეგ, რწმუნებულნი შეუდგებიან თვით ქონების მიღებასა. თან ასეთა წესი უნდა იქმნას დაცული:

ა) ქალაქის სახლები, დუქნები, ქარვასლები, წისქვილები, ღვინის სარდაფნი და სხვა სამნეო შენობანი, გარდა კაცთა საცხოვრებელ სახლთა და შენობათა, აგრეთვე სამნეო საწყობთა და ნაშენობათა, რომელიც უნდა დარჩეს სამღვდელოების ხელში მათის საჭიროებისათვის, უნდა მიღებულ იქმნას ყოველის თვისის ინვენტარითა და იმ მიწითურთ, რომელზედაც იგი შენობანია აგებული;

ბ) სააგარაკო სადგომ-სამყოფელნი პატრიარქ-კათოლიკოსისა და ეპარქიის უფროსთა, საცა ამისთანა რამ დიდის ხნიდგანვე არსებობს, თვისის ბაღებითა, ბოსტნებითა, და ჭალა ტყეებითა, რჩება ზემოხსენებულ სასულიერო კაცთა ხელში;

გ) იმ მამულებში, საცა სახნავ-სათესია, ან ტყე, მამულთან ერთად უნდა მიღებულ იქმნას ყოველივე იარაღი წარმოებისა, ხოლო საქონელი, პური და სხვა დამზადებული სამნეო ნუზლ-სანოვაგე რჩება იმ კაცთა და დაწესებულებათა ხელში, რომელთა გამგებლობას უნდა ჩამოერთვას ხსენებული მამული;

დ) თუ ეკლესიისა ანუ სასულიერო დაწესებულების მფლობელობაში მყოფი მამული კანონით დაწესებულ 3 დესეტინას მცირედ რამით აღემატება და ეს ნამეტანი დამოუკიდებელ მეურნეობისათვის არ გამოდგება, არ უნდა იქმნას მიღებული განსაკუთრებულ განკარგულებამდე და უნდა იქმნას მოხსენებული განაჩენში და

ე) თანხათაგან უნდა მიღებულ იქმნას სრულიად სარგებლიანი ქაღალდები, გირავნობის ქაღალდები და ვალდებულობის წერილები, ხოლო ნაღდის საეკლესიო ფულიდან უნდა მიღებულ იქმნას სულ, ას თუმანს ზევით ათ-ათ თუმნობით. დანარჩენი დატოვებულ უნდა იქმნას მიმდინარე საეკლესიო ხარჯისათვის. ეს გარემოებაც უნდა განმარტებულ იქმნას ქონების მიღების ოქმში.

7) როცა რწმუნებულნი დაწვრილებით დაათვალიერებენ ეკლესიათა და სასულიერო დაწესებულებათაგან მიღებულს ქონებას ადგილობრივ, შეადგენენ ორ ეგზემპლიარად დაწვრილებულს ოქმს, მიცემულ ნიმუშისამებრ და მოაწერინებენ ხელს მათ, ვინც დაესწრო ქონებათა მიღებას და დათვალიერებასა; შემდეგ აღწერილ უძრავ ქონებას თვისის კუთვნილებითა გადასცემენ სახელმწიფო ქონებათა მმართველობის მოხელე კაცს, რომელსაც დავალებული აქვს და დაუყენებლივ აუწყებენ გუბერნატორს და ადგილობრივ მმართველობას და თან წარუდგენენ შინაგან საქმეთა და მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრთან გასაგზავნად ნუსხას ნამდვილად მიღებულ ქონებისას. საბუთები თანხის შენახვა-დაცვისა და თვით თანხანი, საცა ეს თანხანი აღმოჩნდება, უნდა გაეგზავნოთ გუბერნატორებს შინაგან საქმეთა სამინისტროს უცხო აღსაარების სასულიერო საქმეთა დეპარტამენტის დეპოზიტში გადასაცემად.

8) თუ უძრავი მამული ამა თუ იმ ეკლესიისა ანუ სასულიერო დაწესებულებისა სხვა მაზრაში ან გუბერნიაშია, რწმუნებულთ უნდა მოითხოვონ იმ მამულის სიგელ-გუჯარნი და აღწერილობა და წარუდგინონ გუბერნატორს იმ გუბერნიის უფროსის გარდასაცემად, საცა მამულია, რათა მან მოახდინოს ჯეროვანი განკარგულება მისის მიღებისათვის.

9) თუ მიღებული ქონება ანუ მისი ნაწილი იჯარით არის გაცემული ან სასარგებლოდ არის მიცემული ხელ-შეკრულობით ან ადგილობრივის ჩვეულობის ძალით, იჯარადართ, ან მამულის სასარგებლოდ ამღებთ უნდა ეუწყოთ, რომ ეგ მამულები მიიღო ხაზინამ თვის გამგებლობაში და რომ ისინი მოვალენი არიან, რაც გადასახდელი აქვთ ფულად, შემდეგისათვის შეიტანონ ხოლმე სათანადო სახაზინოში იმ დეპოზიტზედ, რომელიც გარკვევით უნდა აეხსნათ, ხოლო თუ თვით მოსავალია შესატანი, წარუდგინონ ხოლმე იმას, ვისაც დავალებული ექმნება მამულის გამგებლობა.

10) ყოველივე ხარჯი, რაც მოუნდება ხსენებულ ქონებათა გადაცემას მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის გამგებლობაში, უნდა გასტუმრებულ იქმნას იმ ფულიდან, რომელიც ადგილობრივ არის გადადებული აქეთ-იქით სამსახურთა კაცთა გასაგზავნად და შემდეგ ეს დანახარჯი უნდა შეივსოს იმ ფულის 10%-დან, რომელიც უნდა გამოირიცხოს სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ქონების შემოსავალიდან; ხარჯი თანხათა გასაგზავნად შინაგან საქმეთა მინისტრის გამგებლობაში, გასტუმრებულ უნდა იქმნას ამავე თანხიდგან.

უცხო აღსაარების სასულიერო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი (ხელს აწერს) მოსოლოვი.

---

*) ვბეჭდავთ ოფიციალურ თარგმანს.

რედ.

ახალი ამბავი

◆ მისის ბრწყინვალების კავკასიის **მთავარ-მართებლის გენერალ-ადიუტანტის თავადის გ. ს. გოლიცინის** ჯანმრთელობის **ბიულეტენი**: საღამოს 8 საათი, 19 ოქტომბერი: განსაკუთრებული ცვლილება მის ბრწყინვალებას არა ეტყობა-რა. ციება კიდევა აქვს. ტემპერატურა დილით 37,3. საღამოს 38,3. მაჯა 76.

ექიმები: მალინინი, ჩუდნოვსკი, რუდენკო, გადომსკი.

◆ დღეს, 20 ოქტომბერს, **ტფილისის ქალაქის საბჭოს** წინა სხდომაზე დარჩენილ სამ საქმის გარდა განსახილველად აქვს შემდეგი საქმეები: განცხადება ინჟენერ ბასტამოვისა, ნება მიეცეს ცხენის რკინის გზა გაიყვანოს ავლაბარში სურფ-კარაპეტის აღმართზე და ნაძალადევში ავჭალის ქუჩიდან; საჩივარი ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელისა ქალაქის გამგეობაზე უკანონოდ ჯარიმის გადახდევინების შესახებ; სავალდებულო დადგენილებანი კვირაობით და უქმე დღეებში ვაჭრობის დროს განწესრიგების შესახებ; მოხსენება ქალაქის გამგეობისა საყასბოსთან ქალაქის ადგილების იჯარით გაცემის შესახებ და სხვანი.

◆ ზაქათალის სასამართლოს საქმის მწარმოებელის თანაშემწე, შტაბს-კაპიტანი ელჩიბეგოვი დაინიშნა ჩოხატაურის **საბოქაულოს ბოქაულად.**

◆ **„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ** საზოგადოების“ წიგნის მაღაზიისა სხვა-დასხვა პირთ ამ ჟამად 6000 მანეთზე მეტი ჰმართებთ. საზოგადოების გამგეობამ სთხოვა ფულის გადახდა, მაგრამ ამათ ყურადღება არ მიაქციეს. ამას წინად გამგეობამ ერთხელ კიდევ მოაგონა მოვალეებს ფულის გადახდა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ ამ რამდენისამე დღის წინად მისწერა კავკასიისა და სხვა ადგილების მაზრის უფროსებს, აცნობონ ხალხს, რომ ქალაქ ტფილისს **საკლავი საქონელი სჭირდება,** მსურველთ შეუძლიანთ იჯარით აიღონ ეს საქმე და მოთხოვნილებისამებრ საკლავი საქონელი მოაწოდონ ქალაქს. ზოგიერთ მაზრის უფროსებმა უკვე აცნობეს ეს ამბავი ხალხს და ბევრს სურვილი გამოუთქვამს საქონლის გამოგზავნისა ტფილისში.

◆ გუშინ, 19 ოქტომბერს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულ მწერლის **დიმიტრი ნადირაძის** (მაჩხანელის) **სულის მოსახსენებლად**. წირვასა და პანაშვიდს დაესწრნენ ქართულ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი, ქართველი ინტელიგენცია და მრავალი ხალხი.

◆ როგორც შევიტყეთ, **საქართველოს ექსარხოსს ალექსის** პეტერბურგიდან ტფილისში მოელიან ნოემბრის ბოლო რიცხვებში.

◆ 19 ოქტომბერს, ტფილისის საბჭოს საფინანსო კომისიამ **გაათავა 1904 წ. ქალაქის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის განხილვა.** ერთი კრება დასჭირდება კიდევ ხარჯისა და შემოსავლის ერთმანეთთან შესაფარდებლად. იმედია, ხარჯთ-აღრიცხვა უდეფიციტოთ გათავდეს.

◆ 19 ოქტომბერს ქალაქის გამგეობას მოუვიდა ზიმინისაგან დაწვრილებითი ხარჯთ-აღრიცხვა და სურათები და გეგმები **ავჭალაში ამერიკულ ფილტრების გასაკეთებლად.** ზიმინის ანგარიშით 24 საათში 600,000 ვედ-

რო წყლის დასაწმენდათ დასჭირდება ფილტრები, რომლის გაკეთება ქალაქს დაუჯდება 118344 მან. გამგეობა განიხილავს ამ პროექტს და გადასცემს საბჭოს განსაკუთრებულ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს წყლის-მილის საქმის მოწესრიგება

◆ **ხორცის დუქნებისათვის** კარგა ხანია საჭიროა საყინულეები. ამ საქმის შესახებ მოხსენება დუქნების გამგე-კომისიამ განიხილა 16 ოქტომბერს. გამოირკვა, რომ საყინულეებისათვის დიდი ფულია საჭირო. რადგან დუქნების დაარსებიდან დღევანდლამდე მოგების ნაცვლად 32,000 მანეთამდე ზარალი მოუვიდა ქალაქს, ამიტომ კომისიამ დაადგინა, შეიძინოს მხოლოდ შკაფები. ამისთვის გადაიდო 900 მან. ამავე დღეს კომისიამ დაადგინა, რომ ერთი კაპეიკი მის ნება-დაურთველად არ იხარჯებოდეს. კომისიამ დაადგინა აგრეთვე, რომ დუქნების გამგის ალიხანოვის მიერ საქონლის ყიდვას კომისიის წარმომადგენელი ესწრებოდეს ხოლმე.

◆ ტფილისის ქალაქის თვითმმართველობამ ლოტკის გორაზე მცხოვრებთ ეკკლესიისა და სამრევლო-საეკლესიო სკოლის შენობათ ასაგებად დაუთმო 700 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა. რადგან შესაძლებელია ამ მიწის ნაწილი მიითვისოს ვინმემ, სასულიერო წოდების წარმომადგენელმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, ნება მისცეს ნაწუქარი ადგილი შემოღობოს, ვიდრე ეკკლესიისა და სკოლის შენობათა აგებას შეუდგებოდნენ.

წერილი ქვემო იმერეთიდან

სამკურნალოს საჭიროება.—საადგილ-მამულო გადასახადი.

იშვიათად მოიპოვება ისეთი ოჯახი ჩვენს მხარეში, რომ ორი-სამი სული ავად არ იყოს ან ციებ-ცხელებით და ან რაიმე სახადით, უფრო მეტადრე ხველით ან, როგორც აქ უწოდებენ, ჩველა ბატონებით. „უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო,“ ამბობენ: ასე გვემართება ქვემო იმერლებს, განსაკუთრებით მდინარე რიონის მახლობლად მდებარე სოფლების მცხოვრებთ. ავადმყოფობასთან წელს მოუსავლობაც გვეწვია: ორიოდე ტარო სიმინდი გამუდმებულ წვიმების წყალობით ძლივს მოვიწიეთ და ისიც პეპლად გამოდის. ყურძენიც, თუმცა კარგად ესხა, უამინდობისა გამო ვერ დამწიფდა, ნახევრობით დალპა და ღვინო გასულ წელზე უფრო მდარეა. ცუდი სასმელ-საჭმელი, ჭაერი და წყალი, როგორიც ქვემო იმერეთშია, რასაკვირველია, კაცს დაასნეულებს და სიცოცხლეს შეუმოკლებს. დიდად და დიდად საჭიროა ამიტომ ქვემო იმერეთში დაარსდეს სასოფლო სამკურნალოები. სამკურნალო საჭიროა უფრო ჭაობიან და დაცემულ ადგილებში მდებარე სოფლებისთვის. ნუ თუ ასეთი სოფლები—ბაში, საჯულია, ფარცხანაყანევი, ტყაჩირი, ოფიშკვითი, პატრიკეთი, უკანეთი და გეგუთი ერთს საავადმყოფოს ვერ შეინახვენ? კომლზე რომ თითო მანეთი მოიკრიბოს, საკმაო იქნება. მაგრამ ვინ არის ჩვენში ისეთი, რომ ეს საქმე ითავოს. ვინც გავლენიანია, ის უფრო თავის თავზე ზრუნავს.

ძალიან ბევრნი უჩივიან ჩვენში საადგილ-მამულო გადასახადის განაწილებას. ახლა მივიღეთ უწყებები სამაზრო მთავრობისაგან. ზოგს ვენახი სულ არა აქვს და იმის ღალასაც ახდევინებენ. ზოგს წლიური შემოსავალი 50 მანეთი არა აქვს და ორას მანეთად შეუმოწმებიათ. ზოგს ტყე სულ არა აქვს და იმდენი შეუწერიათ, რომ ვითომ სახლების საშენი ტყე ჰქონდეს. ჩემის აზრით, მაზრის გადასახადის გამნაწილებელ კომისიის წევრებად ისევ ადგილობრივი სოფლელნი უნდა იყვნენ და არა მოქალაქენი, რომელთაც ჩვენებურ ადგილების ამბავი ისე იციან, როგორც მე ჩინელების ამბავი. დღეს, 15 ოქტომბერს, ერთი გლეხი მოვარდა ჩემსას და მაჩვენა იმის სახელზე გამოგზავნილი უწყება. ამ გლეხზე ათი მანეთი შეუწერიათ, თუმცა შვიდი ქცევა ადგილის მეტი არა აქვს (ქცევა 900 ოთხკუთხი საჟენია). მეორე გლეხმა, რომელსაც 40 ქცევა ადგილი აქვს, მაჩვენა ცნობა, რომელშიაც გადასახადი მხოლოდ 4 მანეთი ეწერა.

ი. ვ.

დაბა-სოფლები

ხაშური (ქართლი). 12 ოქტომბერს ხაშურში მოვიდა გორის მაზრის უფროსი. ამ დღეს სოფლელთა სთხოვეს უფროსს, განკარგულება მოახდინოს, რომ ბოქაულმა შეადგინოს იმ ფულის ანგარიში, რომელიც შემოდის სოფელს სასწორიდან და საყასბოდან (დაახლოვებით 1,400 მანეთი) და რომელიც, მამასახლისისა და მწერლის სიტყვით, ეძლევა ადგილობრივ ორ-კლასიანს სასწავლებელს. ამ ფულის გარდა, ამ სასწავლებელს ინახავს სამი სოფელი. თვითოული კომლი იხდის 1 მან. 20 კაპ. წელიწადში;—მკვიდრთ გარდა კიდევ სწავლობენ დროებით მცხოვრებთა შვილებიც, რომელნიც თვითოულს მოსწავლეზე იხდიან 10 მან. წელიწადში. ყოველივე ეს შემოსავალი სკოლისა რომ შევაერთოთ, კარგა დიდი ფული შესდგება. მთელი ეს შემოსავალი სასწავლებელს ხმარდებაო და სკოლა-კი იმავე გაჭირვებულს მდგომარეობაში იმყოფება, როგორშიაც ამ რამდენისამე წლის წინად იყო, როდესაც ზემო აღნიშნულ სასწორისა და საყასბოს ფული სკოლას არ ეძლეოდაო. გზებიც უფულობისა და სიღარიბისა გამო შეუკეთებელი გვრჩებაო. შეკრებილმა ხალხმა ერთ-ხმად სთხოვა მაზრის უფროსს, რათა ყოველივე ეს გამოირკვეს და ამასთანავე გააგებინონ დაწვრილებითი ანგარიში შემოსავალ-გასავლისა. უფროსმა, მოისმინა-რა ყოველივე ეს, უბრძანა სურამის განყოფილების ბოქაულს უეჭველად შეადგინოს ერთი კვირის განმავლობაში დაწვრილებითი ანგარიში სოფლის ფულის შემოსავალ-გასავლისა, გამოიკვლიოს ყოველივე შეცდომა, დაიბაროს ხალხი და რიგიანად გააგებინოს ყოველივე.

ნ. სიხარულიძე

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 ოქტომბერი

სიმფეროპოლი. დიდმა მთავარმა პეტრე ნიკოლოზის ძემ დაათვალიერა ხანის სასახლე გუბერნატორის ტრეპოვის თანხლებით და შემდეგ გაემგზავრა დიულბერს თავის მამულში.

კიევი. სამხრეთ-დასავლეთ რკინის გზებზე გასაგზავნი ხორბალი აღარ არის. წელს რკინის გზის განკარგულებაში 90 ორთქლ-მავალი მეტია ვინემ გასულ წელს.

ბირსკი. ყინვები დაიწყო.

ხოროლი. საერობო სკოლები სავსეა ბავშვებით: ზოგს მასწავლებელს 80—100 მოსწავლე ჰყავს. ხმოსნებისაგან და მცოდნე პირთაგან შემდგარი კომისია განიხილავს საერობო საბჭოს მოხსენებას, სკოლებთან სასკოლო-სამეურნეო კომისიის დაარსებისა, პირველ დაწყებით სკოლებში კურსის გაფართოვებისა, მასწავლებელთა სწავლა-განათლების მომატებისა, საბჭოსთან საჭირო ცნობების შესაკრებად განყოფილებისა და სახალხო განათლებაზე მზრუნველ კომისიის დაარსებისა, მასწავლებელთა კრებების გამართვისა და საერობო სკოლების ინსპექტორის თანამდებობის დაარსების შესახებ.

ლონდონი. საბერძნეთის ელჩი დანიშნა დიდი ბრიტანიის ფლოტის საპატიო ადმირალად.

ტანჟერი. მაროკოს სულთანი 15 ოქტომბერს მივიდა ფეცში.

ბომბეი. აქ მოვიდა კრეისერი „პერსეი“ და ოთხიც სხვა კრეისერი, რომელიც თან ახლება მეფეს სპარსეთში მოგზაურობის დროს. „პერსეი“-მ ბრძანება მიიღო, დაუყოვნებლივ ობიუში გაემგზავროს.

სერგაჩი. საერობო კრებამ მიიღო წინადადება საბჭოსი, დააარსოს ათი წლის განმავლობაში ხელ-უხლებელი ფონდი—5000 მანეთისა ხელმწიფე-განმათავისუფლებელის სამახსოვროდ. პროცენტები ამ ფონდისა მიეცემა შემწეობად ღარიბ გლეხებს ცხენების შესაძენად.

სუმი. საერობო კრებამ დაადგინა, აძლიოს ყოველ წლობით სუმის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას სუბსიდია სასოფლო-სამეურნეო კითხვების მოსაწყობად, გუთნების გამოსაცდელად და სააუქციონო გამოფენის მოსაწყობად.

პარიზი. 18 ოქტომბერს გრაფი ლამსდორფი დარმშტადს წავიდა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 17 ოქტომბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,60
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	—

ბირჟის დისკონტი	5-6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	95⅛ გაყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	444½ გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	335 „
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	282½ „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	194

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 . (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ. (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში 60 მან. თვეში-

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი -ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

მალე, კარგად და იაფად

ვაუწყებ საზოგადოებას, რომ ვღებ შესაღებავად და გასაწმენდად ყოველგვარ „მატერიას“ და ტანსაცმელებს ყოველნაირ ფერებისას, სურვილისამებრ. შეკერილი ტანისამოსი შეიძლება სამკაულიანიც იყოს და პალტოები—ტყავის სარჩულიანი,—ვღებავ დაურღვევლად. ამ საქმეში იმდენად დახელოვნებული ვართ, რომ ჩვენს ფირმას მთელი რუსეთი იცნობს. ყველას შეუძლია პირადად დარწმუნდეს. სახელოსნო იმყოფება ავჭალის ქუჩაზე, სახლი № 68, „ფრანგული სამრეცხაო“ ყოფილი ტელქოვისა. განყოფილება არსებობს მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 59.

პატივისცემით **ივანოვი შვილით და კალევიჩი**

(5—164—5)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო, ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას-დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში**, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

ქუთაისში

საშ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

Въ книжномъ магазинѣ

„ГУТТЕНБЕРГЪ“

(Тифлисъ, на Дворцов. и Штаб. ул.)

Продаются слѣдующія книги:

Къ вопросу о Кахетинскихъ винахъ, Магистра фармаціи Н. Е. Іоннисіани, цѣна 1 р. 25 к.

Вся Россія, съ картой Россійской имперіи, въ коленк. перепл. ц. 15 р.

Сочиненія Чарльза Диккенса, переводъ Шишмаревой, 10 том., ц. 15 р.

Весь Кавказъ, справочно-литературный сборникъ съ картинами, въ коленк. переплетѣ, ц. 5 р.

Русскіе писатели, въ портретахъ, біографіяхъ и образцахъ. Галлерея XIX вѣка, подъ редакціей К. Л. Аленина, въ коленкор. перепл. ц. 5 р. (2—181—2)

Дозв. ценз. Тифлисъ 19 Октября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат.—Тва).